

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის
კომისიის სხდომის

ოქმი N5

ქ. აბაშა, 2019 წლის 17 აპრილი

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის
კომისიის სხდომის

ოქმი N5

ქ. აბაშა, 2019 წლის 17 აპრილი

სხდომის ადგილი: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული
შენობა (ქ.

აბაშა, უ. კაჭარავას #1).

სხდომას თავმჯდომარეობდა: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე გია
კუცია.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის წევრები: შოთა ჭანტურაია, ელვარდი ნოდია, ზაზა გაბელაია და ლეონტი
ნადარეიშვილი.

სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბენია პიტავა , დავით კაჭარავა და
ზ.შუბლაძე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და
ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის
დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე

დღის წესრიგი :

1. „აბაშის მუნიციპალიტეტში „სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში შერჩეული პროექტის მოწონების შესახებ“.

მომხს: გ. კუცია

2. აბაშის მუნიციპალიტეტში „ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში გადაუდებელი სასწრაფო დახმარებისა და ამბულატორიული მომსახურებების მიწოდების მიზნით საჯარო შენობების მშენებლობისა და რეაბილიტაციისათვის შერჩეული პროექტების მოწონების შესახებ“.

მომხს: გ. კუცია

კომისიამ კენჭი უყარა დღის წესრიგს (მომხრე-5, წინააღმდეგი-0) და განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად .

მოისმინეს:

1. „აბაშის მუნიციპალიტეტში „სტიქის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში შერჩეული პროექტის მოწონების შესახებ“.

მომხსენებელმა გ.კუცია კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „აბაშის მუნიციპალიტეტში „სტიქის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში შერჩეული პროექტის მოწონების შესახებ“.

აზრი გამოთქვას : შ.ჭანტურაიამ და ზ.გაბელაიამ.

კომისიამ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს (მომხრე-5, წინააღმდეგი-0) აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის , ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიამ

დაადგინა:

განკარგულების პროექტი „აბაშის მუნიციპალიტეტში „სტიქის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში შერჩეული პროექტის მოწონების შესახებ“ წარედგინოს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს საკრებულოს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინების მიზნით.

მოისმინეს :

2. აბაშის მუნიციპალიტეტში „ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში გადაუდებელი სასწრაფო დახმარებისა და ამბულატორიული მომსახურებების მიწოდების მიზნით საჯარო შენობების მშენებლობისა და რეაბილიტაციისათვის შერჩეული პროექტების მოწონების შესახებ“.

მომხსენებელმა გია კუციამ კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი აბაშის მუნიციპალიტეტში „ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში გადაუდებელი სასწრაფო დახმარებისა და ამბულატორიული მომსახურებების მიწოდების მიზნით საჯარო შენობების მშენებლობისა და რეაბილიტაციისათვის შერჩეული პროექტების მოწონების შესახებ“.

აზრი გამოთქვას : ე.ნოდიაშვილი და ლ.ნადარეიშვილი.

კომისიამ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს (მომხრე-5, წინააღმდეგი-0) აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის , ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიამ

დაადგინა:

განკარგულების პროექტი აბაშის მუნიციპალიტეტში „ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში გადაუდებელი სასწრაფო დახმარებისა და ამბულატორიული მომსახურებების მიწოდების მიზნით საჯარო შენობების მშენებლობისა და რეაბილიტაციისათვის შერჩეული პროექტების მოწონების შესახებ“ წარედგინოს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინების მიზნით.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულ იქნა და კომისიის სხდომა დახურულად გამოცხადდა.

ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის

კომისიის თავმჯდომარე :

გ.კუცია